



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № _ _ 110

“ _ 19 ” _ დეკემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა №3; კორპუსი №4 (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.097) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ლივინ სითი“-ის (ს/ნ. 400439094) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39¹ მუხლისა და „ქალაქ თბილისში, ვ. ნინუას ქუჩა №3; კორპუსი №4 (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.097) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით შპს „ლივინ სითი“-ის (ს/ნ. 400439094) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №25.2104.2370 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ლივინ სითი“-ის (ს/ნ. 400439094) მიმართ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვ. ნინუას ქუჩა №3; კორპუსი №4 (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.097) არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 4.6 -დან 9.4-მდე;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სატრანსპორტო ზეგავლენის შეფასების წარმოდგენის გარეშე;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს შენობა-ნაგებობის განთავსების რეგულაციის დაცვის გარეშე; მოქნის ზონის რეგულაციის დაცვის გარეშე; სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

დ) მიწის ნაკვეთს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის დაუდგინდეს ინდივიდუალური პარამეტრები;

ე) საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.097) საცხოვრებელი და კომერციული ფუნქციების ცვლილება განისაზღვრას შემდეგი სახით: საცხოვრებელი ფუნქცია 95%, ხოლო საოფისე/კომერციული ფუნქცია 5%;

2. ახალი შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობაში, კუთვნილი ფართობის სანაცვლოდ, ახალ შენობა-

ნაგებობაში საკუთრებაში დარჩეს/გადაეცეს არანაკლებ 479.1 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, უპირატესად: 40 კვ.მ-დან 70 კვ.მ-მდე, რაც მშენებლობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ განშლის ეტაპზე უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოსთან.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ზურაბ აბაშიძე